თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6115077

ნომერი: AR1921933

თარიღი : 07.09.2022

გაცემის თარიღი : 09.09.2022

გაცნობის თარიღი : 09.09.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მუხიანი , მიკრო/რაიონი IVბ , (ნაკვ.08/017);

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახა მურცხვალაძე პ/ნ 01007001628
- თბილისი დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 10 ბ. 39

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
1. წარმოადგინეთ მიწის ნაკვეთის მოიჯარის სპს ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს თანხმობა მიდმინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით ან წარმოადგინეთ რეესტრში რეგისტრირებული სარგებლობის საფუძვლები თუ წინასწარ თანხმობას ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება. წარმოადგინეთ რეესტრში რეგისტრირებული ვალდებულების საფუძვლები და საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოს თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.
2...ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : საპროექტო ღობე განთავსდეს თქვენს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში. ფოტომონტაჟიდან ამოღებული უნდა იყოს გამწვანების სამუშაოები, ან წარმოადგინეთ შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა და "ლანდშაფტური სამუშაოები" დაამატეთ არჩეულ ნომენკლატურას.
3. თბილისის ინტერაქტიულ რუკაზე (http://maps.tbilisi.gov.ge) ხაზობრივი ნაგებობების ფენაში ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა - წყალმომარაგების ძირითადი ქსელის შეზღუდვა. საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და შესაბამისად დამოწმებული გენგეგმა.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.